ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №17
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
საქონლის შესყიდვა

ქ. ზესტაფონი 10 ოქტომბერი, 2016წ.

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, დირექტორის თამარ არაბიძის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი აღმაშენებლის ქ №25 (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მეწარმე გოჩა ფართლაძე (მისამართი: ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქუჩა №70 შემდგომში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი*

1. ხელშეკრულების საგანია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქონლის შესყიდვა, კლასიფიკატორის კოდით 44800000 (საღებავები, ლაქები და მასტიკები)-მონეტარული ზღვრების დაცვით.

2. შესყიდვის ობიექტი

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	საღებავი	ცალი	6	11	66
2	ლაქი მაღალი ხარისხის	ცალი	4	25	100
3	მასტიკა	ცალი	17	2	34

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 200(ორასი) ლარი.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება ხელშეკრულებაზე მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ფ) უზრუნველყოს საქონლის მიღება ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი, გარანტია და მიწოდების ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი,

5.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს უდეფექტო. თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი ვალდებულია
საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით)უზრუნველყოს აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა), გამოვლენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.
5.3. საქონლის მიწოდების ადგილია ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. №25.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებით შექმნილი კომისია.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მომწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში .
8.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3. მიმწოდებელი ვიდრე არ ანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველმა დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.6 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების	ი/მეწარმე გოჩა ფართლაძე
გაერთიანების დირექტორი	
ა.	
ხაზინის ერთიანი ანგარიში	
	„ლიბერთი ბანკი"
	ბანკის კოდი LIBRTGE22
	ანგ. N GE76LB0112192434855000
ს/კოდი: 230092066	ს/კოდი №18001002769
მისამართი: ქ. ზესტაფონი აღმაშენებლის ქ. №25	მის: ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. №70
ტელ. 0492 251526	